საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიზაინის საერთაშორისო სკოლა

ფაკულტეტის დებულება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის #01-05-17/05 ერთობლივი დადგენილებით

კონსოლიდირებული ვერსია 2023 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო.

ეს დებულება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) დიზაინის საერთაშორისო სკოლის (შემდგომში „სკოლა“) მიზნებსა და ამოცანებს, სკოლის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს , მართვის ორგანოებისა და პერსონალის დანიშვნისა და არჩევის წესს, მათ უფლება-მოვალეობებს, სკოლის მართვის პრინციპებს, ასევე სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. სკოლის სტატუსი

1. სკოლა არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და ახორციელებს უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და პროფესიულ საგანმანათლებლო ინგლისურენოვან და ქართულენოვან პროგრამებს დიზაინის ყველა სათანადო მიმართულებით, მათ შორის არქიტექტურა, ქალაქთთგეგმარება, ინტერიერი, მოდა, პროდუქტი, სამრეწველო, გრაფიკული, ვიზუალური კომუნიკაციის და დიზაინის ნებისმიერი სხვა მიმართულებით, ამასთან ერთად ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს, ექსპერიმენტალურ და სხვა სახის პრაქტიკულ სამუშაოებს, მათ შორის სამეურნეო ანგარიშით.

2. სკოლის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და დებულებით.

3. სკოლას აქვს ბეჭედი სკოლის სახელწოდებით, ლოგო, აგრეთვე შესაბამისი ბლანკები და შტამპი.

4. სკოლის სრული სახელწოდებაა: დიზაინის საერთაშორისო სკოლა; ინგლისურად – International Design School; რუსულად – Международная Школа Дизайна.

5. სკოლის მისამართია: მერაბ კოსტავს ქუჩა N 77, VIII კორპუსი, მე–2 სართული, 0175, თბილისი, საქართველო.

6. სკოლის ოფიციალური ვებ–გვერდია http://gtu.ge/ids-en/

მუხლი 3. სკოლის უფლებამოსილება

1. სკოლა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით.

2. სკოლა დამოუკიდებელია მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის შესაბამისად გადაწყვეტილებათა მიღებასა და მოქმედებათა განხორციელებაში.

თავი II.
სკოლის მისია, მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 4. სკოლის მისია

დიზაინის საერთაშორისო სკოლის **მისიაა** შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სკოლის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღების შესაძლებლობას.

მუხლი 5. სკოლის მიზნები და ამოცანები

1. სკოლის ძირითადი **მიზანია** ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე, კონკურენტუნარიანი, შემოქმედებითად მოაზროვნე, მაღალკვალიფიციური პროფესიონალის ჩამოყალიბება, რომელსაც ღირსეულად შეეძლება გაუმკლავდეს თანამედროვე მსოფლიოს მდგრადი განვითარების გამოწვევებს.

2. სკოლის ძირითადი **ამოცანებია:**

ა) მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზრის მოთხოვნებისადმი ადაპტირებადი და სათანადო უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება;

ბ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - ბაკალავრების მომზადება;

გ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;

დ) სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა;

ე) მეცნიერების შესაბამის დარგებში თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

ვ) სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა.

3. სკოლა ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებას, მათ შორის, უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვას/მობილობას. აგრეთვე ზრუნავს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სტუდენტების გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობაზე.

4. სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და პროფესიულ ასოციაციებთან და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით ახორციელებს ახალი პროგრამების შემუშავების ან/და განვითარების პროცესს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის მიხედვით.

მუხლი 6. სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) მეცნიერების შესაბამის დარგებში დამსაქმებელზე ორიენტირებული პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება;

ბ) კვლევითი სამუშაოების წარმართვა, მეცნიერების და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ფართოდ აპრობირებული სასწავლო-სამეცნიერო და პრაქტიკული საპროექტო საქმიანობის კონცეფციის - დიზაინ აზროვნების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში;
გ) სტუდენტთა მრავალმხრივი განვითარების მიზნით, კულტურული, სპორტული და შემოქმედებითი საქმიანობა;
დ) საკონსულტაციო საქმიანობა;
ე) უწყვეტი განათლების პრინციპის დაცვის, ასევე, ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასემინარო-სატრენინგო საქმიანობა (სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისა და სხვა პერსონალისთვის).

თავი III.
სკოლის სტრუქტურა და მართვის ორგანოები

მუხლი 7. სკოლის სტრუქტურა
1. სკოლის შემადგენლობაში შედის:
ა) სკოლის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები);
ბ) სასწავლო ერთეულები;
გ) სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ცენტრები, ლაბორატორია, პროგრამული მიმართულება და სხვა);
დ) დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.
2. სკოლაში არის სკოლის სათათბირო და მენეჯერის თანამდებობა.
3. *ამოღებულია.*
4. სკოლის საბჭოს წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, სკოლაში შეიძლება შეიქმნას მზრუნველთა საბჭო, რომლის შემადგენლობას სკოლის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
5. სკოლაში იქმნება კომისიები (მუდმივმოქმედი და დროებითი) და კოლეგიები.
6. სკოლაში მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა.
7. სკოლის სტრუქტურასა და დებულებას, აგრეთვე სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, სკოლის საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი).
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 27 დეკემბრის #01-06-02/76 დადგენილება.)

მუხლი 8. სკოლის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)
1. სკოლის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): სკოლის საბჭო, დეკანი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. სკოლის საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებითა და სკოლის საბჭოს რეგლამენტით.
3. სკოლის არჩევითი მმართველი სუბიექტების - დეკანისა და სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სკოლის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ "დებულებით" (შემდგომში – არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) დადგენილი წესით.

მუხლი 9. სკოლის საბჭო

1. სკოლის წარმომადგენლობითი ორგანოა სკოლის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა უნდა იყოს საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3 (დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ).

3. სკოლის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. სკოლის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების ხოლო არჩევნების დანიშვნის, სკოლის დებულების, სტრუქტურის, ბიუჯეტის განსაზღვრის და სკოლისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს - საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

5. სკოლის საბჭო იკრიბება სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ სკოლის საბჭოში წარმომადგენლების არჩევიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

6. სკოლის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავისი წევრების უფლებამოსილებას.

7. სკოლის საბჭოს საქმიანობის, სხდომების მოწვევისა და გადაწყვეტილების მიღების წესები განისაზღვრება სკოლის საბჭოს რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს სკოლის საბჭო.

8. სკოლის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს სკოლის ბიუჯეტის პროექტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს სკოლის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს სკოლის სტრუქტურას, დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);

ე) ***ამოღებულია.***

ვ) ირჩევს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ზ) ქმნის სკოლის ეთიკის კომისიას და ამტკიცებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

თ) ახორციელებს სკოლის სტუდენტის მიმართ დისციპლინურ საქმისწარმოებას;

ი) ქმნის სკოლის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, მათ შორის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივ კომისიას;

კ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, სკოლის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს, ხოლო სხდომას თავმჯდომარეობს საბჭოს დამსწრე უხუცესი წევრი;

ლ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

მ) აკადემიური პერსონალიდან ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრებს სკოლისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში.
ნ) იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი ფუნქციების სკოლის სათათბიროზე დელეგირების შესახებ, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით პირდაპირ განსაზღვრული უფლებამოსილებებისა;
ო) ამტკიცებს სკოლის საბჭოს რეგლამენტს.
პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და სკოლის საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 27 დეკემბრის #01-06-02/76 დადგენილება.)

მუხლი 10. სკოლის დეკანი

1. სკოლის დეკანს თანამდებობაზე ირჩევს სკოლის საბჭო.
2. დეკანი აირჩევა ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
3. სკოლის დეკანის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესი განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.
4. დეკანად შეიძლება აირჩეს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
5. სკოლის დეკანი:
ა) უზრუნველყოფს სკოლაში სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;
ბ) სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სკოლის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
გ) შეიმუშავებს და სკოლის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის სტრუქტურასა და დებულებას;
დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) და სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;
ვ) თავმჯდომარეობს სკოლის საბჭოს სხდომებს;
ზ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, პასუხისმგებელია სკოლის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;
თ) წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ი) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს სკოლის სახელით;
კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სკოლის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) ადმინისტრაციულ –სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას
6. სკოლის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე სასწავლო დარგში და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინების საფუძველზე, დეკანის უფლებამოსილების ვადით.

7. სასწავლო დარგში დეკანის მოადგილის ძირითადი კომპეტენციაა სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, სკოლის სასწავლო ერთეულების საქმიანობის მონიტორინგი, დეკანის დავალებათა შესრულება.

8. დეკანის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობების დარგში უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად უზრუნველყოფს სკოლის სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში ჩართულობისა და სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

9. დეკანის მოადგილეების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დეკანის ბრძანებით თუ მოქმედი კანონმდებლობით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. 10. დეკანის არყოფნისას სკოლის საქმიანობას ხელმძღვანელობს დეკანის ერთ-ერთი მოადგილე, დეკანის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 27 დეკემბრის #01-06-02/76 დადგენილება.)

მუხლი 11. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. სკოლაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუდმივი განვითარებისათვის იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ამ დებულების შესაბამისად.

2. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ირჩევს სკოლის საბჭო 4 წლის ვადით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს სკოლის საბჭო.

3. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების წესი განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

4. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით.

ბ) სისტემატურად აფასებს სკოლის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის მიმდინარეობას, აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების და
მასწავლებელთა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხს;

გ) ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სამსახურებთან, ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების მეთოდოლოგიის სრულყოფის მიზნით;

დ) შეიმუშავებს სკოლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს.

ე) ახდენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების მონიტორინგს და შეფასებას;

ვ)უზრუნველყოფს სკოლის თვითშეფასებას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის;

ზ) რეგულარულად (სემესტრში ერთხელ) აცნობს თავისი მუშაობის შედეგებს სკოლის საბჭოს და სათათბიროს;

თ) განიხილავს სასწავლო პროგრამების კურიკულუმებს და სასწავლო კურსების სილაბუსებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი სრულყოფისათვის;

ი) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:
ა) არის სკოლის ადმინისტრაციული თანამდებობის პერსონალი;
ბ) არის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სასკოლო კომისიის თავმჯდომარე, ახორციელებს ამ კომისიის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს
გ) წარმართავს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სკოლის დებულებების შესაბამისად;
დ) ანაწილებს მოვალეობებს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს შორის;
ე) ხელმძღვანელობს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;
ვ) წარმოადგენს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან,
ასევე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობისას;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 12. სკოლის სათათბირო
1. სკოლის სათათბიროში შედის: დეკანი (თავმჯდომარე), მისი მოადგილე, მენეჯერი, სკოლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში სკოლის კვოტით არჩეული წარმომადგენლები.
2. სკოლის სათათბირო:
ა) ამ დებულების მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასრულებს სკოლის საბჭოს მიერ დელეგირებულ ფუნქციებს (სოციალური დახმარებები, სამეცნიერო მივლინებები, ჯილდოები, პრემიები და სხვა).;
ბ) იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე ამზადებს საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს სკოლის საბჭოზე წარსადგენად (განსახილველად).

მუხლი 13. სკოლის მენეჯერი
1. მენეჯერი განეკუთვნება დამხმარე თანამდებობას, რომლის უფლებამოსილებებიც განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითა და დებულებით;
2. სკოლის მენეჯერს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;
3. მენეჯერი:
ა) ახდენს შრომის ბაზრის მარკეტინგულ და პროგნოზულ-ანალიტიკურ კვლევას, რის საფუძველზეც ადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისადმი წარდგენილ მოთხოვნათა ნუსხას საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით;
ბ)ახორციელებს სკოლის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის ზედამხედველობას;
გ)სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების მიზნით, ადგენს ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზიდვის ყოველწლიურ გეგმას და პასუხისმგებელია მისი შესრულების მიზნობრიობასა და ეფექტურობაზე;
დ) დეკანთან და სათათბიროსთან ერთად ადგენს სკოლის ბიუჯეტის პროექტს და განსაზღვრისათვის წარუდგენს სკოლის საბჭოს;
ე) კოორდინაციას უწევს სტუდენტთა პრაქტიკის, სტაჟირებისა და მათი შემდგომი დასაქმების პროცესს;

ვ) ახორციელებს დებულებით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. მენეჯერი ანგარიშვალდებულია რექტორისა და სკოლის საბჭოს წინაშე.

მუხლი 14. *ამოღებულია*
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 27 დეკემბრის #01-06-02/76 დადგენილება.)

მუხლი 15. სკოლის სასწავლო ერთეულები
1. სასწავლო პროცესის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით, სკოლაში იქმნება სასწავლო ერთეულები.
2. სასწავლო ერთეული წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს.
3. სასწავლო ერთეულების დებულებებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) სკოლის საბჭოს წარდგინებით.
4. სასწავლო ერთეული თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წესდებით, სკოლის დებულებით, საკუთარი დებულებით.

მუხლი 16. სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები
1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით სკოლაში იქმნება სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები.
2. სამეცნიერო-კვლევითი ერთეული წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს.
3. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) სკოლის საბჭოს წარდგინებით.
4. სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულია ვიზუალური კომუნიკაციის სასწავლო ლაბორატორია.
5. სამეცნიერო-კვლევითი ერთეული თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით და საკუთარი დებულებით.
6. დიზაინის საერთაშორისო სკოლასთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ცენტრია - სასწავლო-სამეცნიერო, ინოვაციური და პრაქტიკული დიზაინის ცენტრი „დიზაინ-აზროვნების სატესტო ლაბორატორია-შემოკლებით „დასტა ლაბ“ - ინგლისურად DASTA Lab.
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 27 დეკემბრის #01-06-02/77 დადგენილება.)

მუხლი 17. სკოლის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები
1. სკოლის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები იქმნება სკოლის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით.
2. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მმართველი ორგანოების, სკოლის საბჭოს, სათათბიროსა და დეკანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შეიმუშავებენ შესაბამისი სფეროს განვითარების წინადადებებს და განსახილველად წარუდგენენ სკოლის დეკანს.
3. დამხმარე პერსონალის უფლებამოსილებებია:
ა) სასწავლო პროცესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად საჭირო პროცედურების განხორციელება;
ბ) სკოლის სტუდენტთა ადმინისტრაციული (საფინანსო) და აკადემიური (სასწავლო) ხელშეკრულებების მომზადება;
გ) სკოლის სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება;

დ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტებისათვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა;
ე) სტუდენტთა სტატუსთან და ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
ვ) სკოლის არქივის დოკუმენტების შექმნასთან, გაცემასა და შენახვასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას.
ზ) სკოლაში არსებული საბიბლიოთეკო რესურსებით სკოლის სტუდენტთა და პერსონალის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მომსახურების გაწევა.
თ) სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით საჭირო სხვა საქმიანობის განხორციელება.
4. დამხმარე პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია თანამდებობრივ ინსტრუქციებში.
5. დამხმარე პერსონალი ანგარიშვალდებულია დეკანის წინაშე.

მუხლი 18. სტუდენტური თვითმმართველობა
1. სკოლაში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაერთიანებულია უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში.
2. სკოლის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

მუხლი 19. სკოლის კომისიები და კოლეგიები
სკოლაში უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით იქმნება
კომისიები (მუდმივმოქმედი და დროებითი), მათ შორის:
ა) სკოლის ეთიკის კომისია, რომელსაც ქმნის სკოლის საბჭო. სკოლის ეთიკის კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით;
ბ) სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია, რომელსაც ქმნის სკოლის საბჭო. სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის საქმიანობის წესს განსაზღვრავს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულება;
გ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასების და დამტკიცების კომისია, რომელსაც ქმნის დეკანი;
დ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების (საკვალიფიკაციო) კომისია.
ე) მაგისტრატურის საგამოცდო კომისიები. კომისიები სკოლის დეკანის წარდგინებით იქმნება რექტორის ბრძანებით;
ვ) სკოლის საატესტაციო კომისია, რომელსაც ქმნის უნივერსიტეტის რექტორი.
ზ) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სასკოლო კომისია, რომელიც იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
თ) სემესტრული გამოცდების შემფასებელი კომისია, რომელსაც ქმნის დეკანი და ამტკიცებს სკოლის საბჭო.

თავი IV. სკოლის პერსონალი

მუხლი 20. სკოლის პერსონალის შემადგენლობა

1. სკოლაში არსებობს აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული თანამდებობების პირები, დამხმარე პერსონალი, ასევე - მასწავლებელთა პერსონალი.
2. ადმინისტრციული თანამდებობის პირების, აკადემიური, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 21. აკადემიური პერსონალი
1. სკოლის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი, რომლებიც მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.
3. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.
4. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი, აკადემიური პერსონალის არჩევის წესი და მათი უფლება-მოვალეობები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 22. ადმინისტრაციული თანამდებობის პირები
1. ადმინისტრაციული თანამდებობების პირებს მიეკუთვნება დეკანი, დეკანის მოადგილე, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არჩევის ან/და დანიშვნის წესი, ამავდროულად, ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 23. დამხმარე პერსონალი
1. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება სკოლის საქმიანობისთვის აუცილებელი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პერსონალი.
2. დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგს ადგენს დეკანი, სკოლის საბჭოსთან შეთანხმებით და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) უნივერსიტეტის ერთიან საშტატო განრიგის პროექტში ასახვის მიზნით.
3. სკოლის დამხმარე პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციებით.
4. სკოლის დამხმარე პერსონალი ანგარიშვალდებულია დეკანის წინაშე.
5. დამხმარე პერსონალის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 24. მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებელთა პერსონალი
1. სკოლა უფლებამოსილია, აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის

მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.
2. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი. მასწავლებელთა პერსონალი უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

თავი V. სტუდენტი

მუხლი 25. სკოლის სტუდენტი

1. სკოლის სტუდენტი არის საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად სკოლაში ჩარიცხული პირი, რომელიც სწავლობს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2. სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამებით.
3. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას, ასევე უნივერსიტეტის წესდებითა და ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 26. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

1. სტუდენტს უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულებით.
2. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი, დაიცვას სხვისი უსაფრთხოება.

თავი VI. სკოლის ბიუჯეტი

მუხლი 27. სკოლის შემოსავლები

1. სკოლის ბიუჯეტს შეადგენს სკოლის მიერ მოზიდული შემოსავლები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიდან, ასევე ნებისმიერი სხვა შემოსავალი, რომელიც მოზიდულია სკოლის მიერ და არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.
2. სკოლას უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით დადგენილი წესით გადაწყვიტოს სკოლის მიერ მოზიდული ფინანსების განკარგვასთან და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხები.

მუხლი 28. სკოლის ბიუჯეტი

1. სკოლის ბიუჯეტის პროექტს დეკანთან შეთანხმებით ადგენს მენეჯერი, რომელსაც განსახილველად წარუდგენს სკოლის საბჭოს.

2. სკოლის საბჭოს მიერ განსაზღვრული სკოლის ბიუჯეტის პროექტი გადაეცემა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით.
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) სკოლის ბიუჯეტს ჩართავს ერთიან ბიუჯეტში და აკადემიური საბჭოს თანხმობით წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) დასამტკიცებლად, თუ სკოლის ბიუჯეტის განაწილება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს;
4. სკოლის ბიუჯეტს, როგორც უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის ნაწილს, ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი). წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) უფლება არა აქვს სკოლასთან შეთანხმების გარეშე ცვლილება შეიტანოს სკოლის ბიუჯეტში.

თავი VII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 29. სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 30. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სკოლის დებულების შემუშავებისა და დამტკიცების წესის ანალოგიურად.

მუხლი 31. დებულების ამოქმედება

დებულება ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.